საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №179/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2019 წლის 21 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 20 დეკემბრის №179/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორთა განცხადებით, მოსამართლემ ვერ უზრუნველყო მის მიერ 2019 წლის 26 ივლისის განჩინების მხარისათვის ჩაბარება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან კანონით დადგენილ ვადაში. ამასთან, ისე გადააგზავნა საქმე სააპელაციო სასამართლოში, რომ განჩინება არ გაუგზავნია მათთვის.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 8 მაისს -- -- სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს.

2019 წლის 8 მაისის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- აეკრძალა -- -- კაპიტალში კუთვნილი --% წილიდან --% წილის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა; აეკრძალა -- -- -- -- პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილებების მიღება საწარმოს უძრავი და მოძრავი ქონების გასხვისების, იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთვის, ასევე ფინანსური ვალდებულებების აღების თაობაზე; შუამდგომლობა მოთხოვნის სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 17 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით.

2019 წლის 21 მაისს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 8 მაისის განჩინებაზე და მისი გაუქმება ითხოვა. 2019 წლის 24 მაისის განჩინებით -- -- ხარვეზის შევსების მიზნით განესაზღვრა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადა. 2019 წლის 6 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებული იქნა

წარმოებაში. 2019 წლის 6 ივნისის განჩნებით -- -- განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დატოვებული იქნა განუხილველად.

2019 წლის 21 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს. 2019 წლის 10 ივნისს მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები.

2019 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; შეწყვეტილად იქნა ცნობილი -- -- და -- -- შორის 2018 წლის 21 მარტს დადებული -- -- კაპიტალის --% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და -- -- აღირიცხა -- -- კაპიტალის --% წილის მესაკუთრედ.

2019 წლის 28 ივნისს მოპასუხე მხარემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა. 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული; საჩივრის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 11 ივლისს. სასამართლო სხდომები გაიმართა 11.07.2019; 16.07.2019; 18.07.2019; 26.07.2019 წწ პერიოდებში. 2019 წლის 21 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის განჩინება. -- -- სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა; -- -- სასამართლოს 2019 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

2019 წლის 23 აგვისტოს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და 2019 წლის 26 ივლისის განჩინების ჩაბარება ითხოვა.

2.2. 2019 წლის 6 სექტემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 2019 წლის 13 სექტემბერს საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა: ა) წარედგინა სსსკ-ის 368.1-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, შედგენილი სააპელაციო საჩივარი (მითითებით, რაში მდგომარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა და იმ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებას); ბ) წარედგინა 5,000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

2019 წლის 7 ოქტომბერს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინების ჩაბარების თხოვნით. 2019 წლის 10 ოქტომბერს აპელანტს ჩაბარდა 2019 წლის 26 ივლისის განჩინების ასლი.

2019 წლის 11 ოქტომბერს აპელანტმა სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 20 დეკემბრის დასკვნა:

-- --, -- -- და -- -- 2019 წლის 21 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა."

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.5. მუხლის მიხედვით მოსამართლემ ყველა სამოსამართლო ფუნქცია, მათ შორის გადადებულ გადაწყვეტილებათა მიღება უნდა განახორციელოს ეფექტურად, სამართლიანად და გონივრული სისწრაფით. ამასთან, „საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს."

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიეს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია."

ზემოხსენებულ საკითხზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სადისციპლინო პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, დარღვეულ საპროცესო ვადასთან მიმართებაში გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაუბარებლობის ხანგრძლივობა და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა.

მოსამართლემ გადაწყვეტილება გამოაცხადა 2019 წლის 26 ივლისს, საქმის მასალებით დგინდება, რომ მისი მოთხოვნის მიუხედავად, საქმე ისე გაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში მხარეს არ ჩაბარებია

დასაბუთებული განჩინება. 2019 წლის 6 სექტემბერს აპელანტმა ფორმალურად წარადგინა სააპელაციო საჩივარი, ხოლო 2019 წლის 10 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით ჩაბარდა აპელანტს 2019 წლის 26 ივლისის განჩინება. შესაბამისად მხარის გასაჩივრების უფლება არ შეზღუდულა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 8 (რვა) წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო 6 (ექვსი) წევრმა მიიჩნია, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის საკმარის საფუძველს და მხარი დაუჭირა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (მინიმუმ 10 წევრი) დაუჭერს მხარს, ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ რვა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №179/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი